განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2 აპრილი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი 30 აპრილი, 2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| **დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით** | კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფარმაციის საბაკალავრო ქართულენოვანი პროგრამა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფარმაციის ბაკალავრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240/245 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | **აკრედიტებული N125, 10.06.2014** |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო** |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ლაშა ბაკურიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო** |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ნათია კვიჟინაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო** |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ვახტანგ თებიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო** |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია „აღზარდოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც საფუძვლიანი ცოდნისა და სწავლის პროცესში ჩამოყალიბებული პრაქტიკული უნარ–ჩვევების საფუძველზე შეძლებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თავისი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში“.

**საბაკალავრო პროგრამის წარმატებულად განხორციელების შემდეგ დაგეგმილია** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ფარმაცევტის მომზადება, რომელსაც გათვითცნობიერებული ექნება ფარმაციის როლი ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკაში და რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები დაეფუძნება ფარმაცევტული დისციპლინების საფუძვლიან ცოდნასა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშერწყმას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სტუდენტებისათვის შესაბამისი ცოდნის მიღება შესაძლებელია ლექციების, პრეზენტაციების, რეფერატების მომზადებითა და პრაქტიკულ–ლაბორატორიული მეცადინეობების მეშვეობით. სწავლის პერიოდში სტუდენტები გაეცნობიან ფარმაცევტული საქმიანობის და ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ საქართველოში არსებულ რეგულაციებს და ძირითად კანონქვემდებარე აქტებს, ფარმაცევტული პროდუქციის, მისი დამზადებისა და წარმოების ტექნოლოგიებს, ხარისხის კონტროლს, შენახვისა და გაცემის წესებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტების დანიშნულება, მათი მოქმედების მექანიზმი, სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედება და გვერდითი მოვლენები. არსებული ცოდნის საფუძველზე მათ ჩამოუყალიბდებათ ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზირებისა და სერტიფიცირებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2019 წლის 2 აპრილს და შეხვედრები განხორციელდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან, შემდგომ მოხდა საუნივერსიტეტო შენობისა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის დათვალიერება-გაცნობა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შემდეგ შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, პროგრამის სტუდენტებთან, რამდენადაც კურსდამთავრებული არ ჰყავთ შეხვედრა შედგა მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებთან. ექსპერტთა ჯგუფის ბოლო შეხვედრა გამართა დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.

ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს დამატებით მოთხოვნილი და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო: 1. ერთ–ერთ ფარმაცევტულ დაწესებულებასთან გაფორმებული შეთანხმება, რომლის ფარგლებში განხორციელდება პრაქტიკა; 2. საბაკალავრო პროგრამის დეტალური ბიუჯეტი.

შეხვედრების ფარგლებში განხილული იქნა საბაკალვრო პროგრამის მიზნები და შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და პროფილური საგნების თანაფარდობა, კრედიტების განაწილების საფუძვლები და შეფასების კრიტერიუმები. ამასთანავე, შიდა და გარე შეფასების კომპონენტები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები.

ვიზიტის ბოლოს შემაჯამებელი შეხვედრაზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ ზოგადი შეხედულებები და ძირითადი მიგნებები.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა მოხდა აკრედიტაციის 5 ძირითადი სტანდარტის მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

**სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

პროგრამაზე მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია, მაგრამ სწავლების შეფასების სისტემა საჭიროებს მრავალკომპონენტიან მეთოდებზე გადასვლას რათა უზრუნველყოს სტუდენტის სწორი და ხარისხობრივი შეფასება და შემდგომ მოტივაციის ამაღლება – სრულად **შესაბამისია მოთხოვნებთან.**

**2. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გაწერილი არ არის დეტალურად სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა ან კვლევაზე დახარჯული დრო. რაც შეეხება სტუდენტთა კვლევითი პროექტების განხორციელებას და უნივერსიტეტის მიერ მის ხელშეწყობას, უნივერსიტეტს შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, კერძოდ კი - კვლევითი სამუშაოებისათვის აუცილებელი აპარატურა საჭიროებს დამატებას. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სრულ მზაობას აცხადებს სამომავლოდ აღნიშნული აქტივობების განხორციელებაზე. თუმცა არც შემდგომი მატერიალური ბაზის განახლება და არც კვლევებისათვის საჭირო დანახარჯები უნივერსიტეტის ფარმაციის პროგრამის ბიუჯეტში გაწერილი არ არის - **მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან**

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ, დასაქმების შესაძლებლობებთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. მათ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში. თუმცა, დღესდღეობით ფარმაციის პროგრამის სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში ფაქტიურად მინიმალურია.– **მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.**

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები მეტწილად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას. ლაბორატორიული მოწყობილობა და აღჭურვილობა არის, მაგრამ კონტიგენტის მატების შემთხვევაში საჭიროებს შევსებას, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი საჭიროებს განახლებას. ფინანსურ ნაწილში ბიუჯეტი

საკმაოდ ზედაპირულია და არ არის გათვლილი რისკები უშუალოდ ფარმაციის პროგრამის ნაწილში. – **მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან**

**5. სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. წარმოებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, ხდება გამოკითხვების ჩატარება, ასევე ტარდება დამსაქმებლების ინტერვიურება, თუმცა სასურველია მეტი დამსაქმებლის და კითხვარის მეტად განვრცობა – **სრულად შესაბამისია მოთხოვნებთან**

**რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების მისაღწევად სილაბუსებში ცვლილებების შეტანა და სწავლების მეთოდების კიდევ მეტად გამრავალფეროვნება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი საგნებიდან მაგ: კლინიკური ფარმაცია, სოციალური ფარმაცია, კოსმეტოლოგია, ბიოფარმაცია, ფარმაკოთერაპია გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში, რადგანაც აღნიშნული საგნები ფარმაციის, როგორც სპეციალობის ძირითადი განსაზღვრელია.
- რეკომენდებულია გაიზარდოს ფარმაციის პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო–კვლევით პროექტებში.
- რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში
- რეკომენდებულია აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა და კვლევითი პოტენციალის გაძლიერება
- რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო–კვლევითი პოტენციალის გაძლიერება;
- რეკომენდებულია პრაქტიკული ლაბორატორიები არსებული უნივერსიტეტის ბაზაზე საჭიროებს აღჭურვილობის დამატებას და განახლებას
- რეკომენდებულია პრაქტიკის ბაზებთან შეთანხმებების გაფორმება

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია მიღწეულ იქნას შესაბამისობა სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებსა და მისაღწევ კომპეტენციებს შორის, სასწავლო კურსების შინაარსის (თემატიკის) და შესაბამისი მეთოდების სრულყოფის გზით.
- სასურველია ბიბლიოთეკაში საჭიროა ახალი წინების და ელ-სახელმძღვანელოების დამატება–განახლება;
- სასურველია რომ ყველა სტუდენტი მეტად იყოს ჩართული პროგრამის გაუმჯობესებაში.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

**განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| **პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.** |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს შექმნა „ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას“<br>ფარმაცია ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც სწრაფად ვითარდება და ფართოვდება, რაც სპეციალისტებზე მოთხოვნილების გაზრდის საწინდარია. შრომის ბაზარზე პერმანენტულად მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით წარმოდგენილი პროგრამის მიზანია „აღზარდოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც საფუძვლიანი ცოდნისა და სწავლის პროცესში ჩამოყალიბებული პრაქტიკული უნარ–ჩვევების საფუძველზე შეძლებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თავისი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში“<br>პროგრამის მიზანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ღირებულებებთან. ასევე მიზნის მისაღწევად შემუშავებულია „სწავლებისადმი კონცეპტუალურად განახლებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დისციპლინებთან ერთად ახალი, თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული ელემენტების ჩართვას“. ინტერვიუდან გაირკვა, რომ ახალი მიდგომა გულისხმობს სტუდენტებისათვის მაღალ დონეზე არა მარტო პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნის მიცემას, სადაც გათვალისწინებული იქნება სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევები, ტენდეციები, ტექნოლოგიური მიღწევები, არამედ საქართველოში არსებული ფარმაცევტული საკანონმდებლო ბაზის, რეგულაციებისა და სტანდარტების სწავლებას.<br>პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად და მკაფიოდ, ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და თანხვედრაშია საზოგადოების ინტერესებთან. პროგრამის მიზნები მისი შინაარსის გათვალისწინებით მიღწევადია. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>უნივერსიტეტის მისია;<br>უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმა;<br>უნივერსიტეტის განვითარების 3-წლიანი  გეგმა;<br>ფარმაციის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა;<br>შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;<br>უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.<br>ინტერვიუს შედეგები<br>თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ **შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.** |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად დალაგებული სასწავლო კურსებისაგან, რომელთა შესწავლა განაპირობებს განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებასა და კვალიფიკაციის მიღებას.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია და უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული კომპეტენციებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად ფარმაციის სფეროს საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევას.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელთაგან 60 კრედიტი არჩევითი საგნებია. წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამის დონეს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გარგძელების შესაძლებლობას.

კერძოდ, „სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის და აცნობიერებს:

- ფუნდამენტური და პროფილური ქიმიური დისციპლინები და ფარმაცევტული პროდუქციის ვარგისობისა და ხარისხის განმსაზღვრელი მეთოდები;
- წამლის სხვადასხვა ფორმების დამზადების სამრეწველო და სააფთიაქო ტექნოლოგია, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ბიოტექნოლოგიური მეთოდები და მათი სპეციფიკა;
- ფარმაცევტული პროდუქციის საქართველოს ბაზარზე დაშვების, ხარისხის კონტროლის, რეკლამირებისა და საქონელბრუნვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები, სამკურნალო საშუალებების აფთიაქიდან გაცემის წესები".

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი და ოქმებში ასევე წარმოდგენილია სტუდენტების აზრიც, თუმცა ინტერვიუზე მოწვეულ სტუდენტებთან ინტერვიუსას აღმოჩნდა, რომ ისინი არ იყვნენ ჩართული ამ პროცესში.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად და გასაზომად გამოიყენება მედიცინის ფაკულტეტზე არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, „რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. სწავლის შედეგების შეფასება ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას". ამ მიზნით შექმნილია დოკუმენტი „ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების შეფასება (პსშ)", სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებელი კრიტერიუმები.

პროგრამის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულია სტუდენტთა 70%. შეფასება მიმდინარეობს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, იმ სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, რომელიც პროგრამას აქვს თითოეული სწავლის შედეგისათვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>ფარმაციის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა (იხილეთ პროგრამაში);<br>შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, მოთხოვნების ანალიზი;<br>პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;<br>სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;<br>თვითშეფასების ანგარიში<br>ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია რომ ყველა სტუდენტი მეტად იყოს ჩართული პროგრამის გაუმჯობესებაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**☐<u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| **უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.** |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნასთან. კერძოდ, ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვადასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).<br>უნივერსიტეტში შემუშავებულია მობილობა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურების შედეგად.<br>უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა;უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| **პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.** |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, კერძოდ: გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი, დემონსტრირების, დისკუსია/დებატების, პრეზენტაციის, გონებრივი იერიშის და სხვა. სილაბუსში მითითებულია სწავლების არსებული მეთოდების დიდი ჩამონათვალი, რაც ბადებს კითხვას რამდენად ხდება სწავლის დროს ყველა ამ მეთოდის გამოყენება და როგორი თანმიმდევრობით. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების ყველა მეთოდი გამოიყენება წარმატებით და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.<br>ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკულ–ლაბორატორიული მეცადინეობების თანმიმდევრულ და უწყვეტ ციკლს.<br>სასწავლო მასალა დაყოფილია სემესტრებად და მოიცავს, როგორც სავალდებულო ასევე არჩევით საგნებს. სასწავლო კურსები თავისუფალი კრედიტების სახით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მიმდინარე სემესტრში, უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი |

პროგრამიდან.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ნაწილს წინაპირობა არ გააჩნია. საგნების წინაპირობების განსაზღვრა დაეფუძნა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად ცოდნის თანდათანობით დაგროვებას.
არჩევითი საგნები იყოფა სხვადსხვა კატეგორიებად, საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის არჩევითი საგნები. თუმცა გაურკვეველია სავალდებული და არჩევითი საგნების თანაფარდობა რომელ დოკუმენტზე ან ლოგიკურ დასკვნაზეა დაყრდნობილი;
თეორიული სწავლება ძირითადად მიმდინარეობს ლექციებით, გათვალისწინებული ჯგუფური მუშაობა და სემინარული მეცადინეობებთ. ყველა საგანში სწავლების მეთოდები მწირია და არ იძლევა ცოდნის შეფასების სრულ სურათს. რაც მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტების ათვისებას და შესაბამისად შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებებისა და კონცეფციების გააზრებას და ცოდნის მიღებას.
პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების უნდა ჩატარდეს შესაბამის ლაბორატორიებში და საწარმოებში.
სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა შესაბამისობაშია სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯულ სამუშაო დროსთან.
სასწავლო დისციპლინების ფორმატი მეტნაკლებად სტანდარტულია. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა თითქმის არ იცვლება და არ ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას და მოცულობას.
ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსის სათაურსა და შინაარს (თემატიკას) შორის შესაბამისობა ყურადღება მისაქცევია, სასურველია ან შინაარსის მორგება სათაურთან ან პირიქით. მაგ: ფარმაცევტული მენეჯმენტის სილაბუსში მოყვანილი თემატიკა უფრო შეესაბამება სოციალური ფარმაციის საგანს და გადის მის კომპეტენციაზე.
სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები თითქმის ყველა საგნისთვის იდენტურია (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი (სალექციო კურსის ჩატარების დროს და ჯგუფთან მუშაობისას გამოიყენება პლაკატები, სქემები, კომპიუტერული პრეზენტაციები; ჯგუფში მუშაობის დროს წარიმართება დისკუსიები და დებატები). სასურველი იქნებოდა სწავლის მეთოდები მორგებული იყოს თითოეულ საგანზე, საგნის სპეციფიკის და შინაარსიდან გამომდინარე.
ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა მეტნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია სწავლის შედეგების მისაღწევად სილაბუსებში ცვლილებების შეტანა და სწავლების მეთოდების კიდევ მეტად გამრავალფეროვნება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია მიღწეულ იქნას შესაბამისობა სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებსა და მისაღწევ კომპეტენციებს შორის, სასწავლო კურსების შინაარსის (თემატიკის) და შესაბამისი მეთოდების სრულყოფის გზით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- **სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანამიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და სრულად ასახულია სასწავლო გეგმაში.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა  უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება სწავლის შედეგზე.

სწავლების მეთოდები ყველა საგნისათვის თითქმის უნიფიცირებულია და ვერ ასახავს ცალკეული დისცილინების რეალურ სწავლების და შეფასების კრიტერიუმებს.

არჩევით და სავალდებულო საგნებში, საუნივერსიტეტო სავალდებულო დისციპლინების კრედიტების რაოდენობის ხარჯზე შემცირებულია პროფესიული საგნების წილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია სპეციალობის არჩევითი საგნებიდან მაგ: კლინიკური ფარმაცია, სოციალური ფარმაცია, კოსმეტოლოგია, ბიოფარმაცია, ფარმაკოთერაპია გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების სიაში, რადგანაც აღნიშნული საგნები ფარმაციის, როგორც სპეციალობის ძირითადი განსაზღვრელია.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

**პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და პრეზენტაცია, შეფასების კომპონენტები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და უზრუნველყოფს პროგრამის თითოეულ კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში განხორციელებული აქტივობებია: სხვადასხვა სახის სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციები, პრეზენტაციები. სტუდენტური ნაშრომები ქვეყნდება საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში, თუმცა აქაც ფარმაციის სტუდენტების ჩართულობა მწირია.

უნივერსიტეტში იმართება სხვადასხვა სახის სპორტული სახის ღონისძიებები, სადაც ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას.

ფაკულტეტზე სამომავლოდ იგეგმება ფარმაციის სტუდენტების ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, უნივერსიტეტს წარდგენილი აქვს განაცხადი ERASMUS+-შიც და უახლოეს მომავალში ელოდება პასუხს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ზოგადად სხვა პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ჩართული იყვნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებში, თუმცა ფარმაციის პროგრამის სტუდენტების ჩართულობა ამ ეტაპზე მინიმალურია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია გაიზარდოს ფარმაციის პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო–კვლევით პროექტებში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| **შეფასება**<br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| **პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვა მიიღწევა ჯგუფებში მუშაობის, დისკუსია/დებატების, შემთხვევების ანალიზის, პრეზენტაციის, დემონსტრირებისა და სხვა გზების მეშვეობით.<br>აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრისას გამოიკვეთა სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. ყურადღება ეთმობა როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ სწავლებას, რაც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ ინტერვიუს შედეგები;<br>○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
